ადამიანის უფლებების დაცვა, როგორც ხელშეუვალი ღირებულება

პირადად ჩემთვის ყველაზე ღირებული, რაც 21 -ე საუკუნეს გააჩნია, ეს ადამიანების მიერ იმის გაცნობიერებაა, რომ ნებისმიერს - ქალს, კაცს, თეთრკანიანსა თუ შავკანიანს და ა.შ., ერთნაირად ეკუთვნის სამყარო და შესაძლოა, არსებობდეს თითოეული ჩვენგანის მონაწილეობით შექმნილი "რკალი", რომლითაც ერთმანეთს შემოვფარგლავთ და დავიცავთ თავს ისევ ერთმანეთისგანვე. მაგრამ საკითხავი მხოლოდ ის არის, იცავს თუ არა ეს "რკალი" ყველას ერთნაირად?!

მე ბედნიერი ვარ, რადგან მიწევს ისეთ სამყაროში ცხოვრება, სადაც ომი გარდაუვალი მოვლენა არ არის, მიუხედავად ჩემი სქესისა, სრულწლოვანების ასაკში შემიძლია არჩევნებში მონაწილეობა, ასევე, შემიძლია გამოვთქვა აზრი და ამას ვერც სიტყვიერად, ვერც, მითუმეტეს, ძალადობით აღმიკვეთს მეორე ადამიანი, ერთი სიტყვით, ამ ეპოქის სხვა მრავალი "პრივილეგიით" ვსარგებლობ, მაგრამ ნუთუ ეს ყველასათვის ასეა?!

სამწუხაროდ, ხშირად მესმის ფრაზები: "აქ სჯობს გაჩუმდე, საშიშია", "შეეშვი, არ გამოგივა, ნაცნობია საჭირო", "ქალს რა ესმის ამ საქმის, კაცი ავიყვანოთ", "თუ უფროსი ამბობს, ესე იგი ასეა" და ა.შ. რატომ არსებობს ეს დამოკიდებულებები? - იმიტომ რომ ეს "რკალი" არცთუ ისე რეალური რამაა და მხოლოდ ჩვენს წარმოსახვებშია ის ასეთი იდეალური. იცით საქართველოში რატომ არის ამდენი განათლებული ადამიანი "თავისთვის", ყველანაირი სახელმწიფო სამსახურისაგან ჩამოშორებული? იმიტომ რომ ადამიანი თუ ჰუმანურად აზროვნებს და ამასთან განათლებულიც არის, მმართველობას, რომელიც ხალხის მიერ უფლებების მინიჭებით და ნდობით ბოროტად სარგებლობს, არ აქვს სურვილი ამაში ვინმე შეეწინააღმდეგოს. ასე რომ ქვეყანას ან არაკომპეტენტური ან გაყიდული ადამიანი მართავს. თავის საქმის არმცოდნე ადამიანის მიერ მეორე ადამიანის სამსახურში ჩაყენება კი ნამდვილად დიდ საფრთხეს წარმოადგენს. ადამიანისთვის უმნიშვნელოვანესი უფლებების, ჯანმრთელობისა და სიცოცხლის უფლების, სახელმწიფოსგან ზემოთ ხსენებული მიზეზის გამო, წართმევის არაერთი ფაქტი მახსენდება და მათგან ახლახან მომხდარს მოვიყვან: 19 წლის მოზარდი, რომელიც დიაბეტით იყო დაავადებული და ამავდროულად კორონა ვირუსიც დაუდასტურდა, სამედიცინო დაწესებულებაში გადაყვანას სასწრაფოდ საჭიროებდა. მიუხედავად იმისა, რომ მისი სიკვდილის შანსი მცირედი იყო, თუ ნორმალურ სამედიცინო დახმარებას გაუწევდნენ, გოგონა შეეწირა უპასუხისმგებლობას და სამედიცინო დაწესებულებაში ნაცნობის არყოლას. იგი ვერ გადაიყვანეს საავადმყოფოში, სადაც აუცილებლად გადარჩებოდა კომპეტენტური სამედიცინო პერსონალის ჩარევით.

სახელმწიფო არამარტო სიცოცხლის, არამედ აზრის გამოხატვის უფლებასაც გვართმევს. დარწმუნებული ვარ იმაში, რომ თუნდაც ტელევიაზიებში, გაზეთებში ადამიანები თავიანთ აზრს ბოლომდე ან საერთოდ ვერ გადმოსცემენ. ამის დასამტკიცებლად ისიც კი საკმარისია, რომ მხოლოდ ძალიან ცოტა ხალხი აკრიტიკებს ობიექტურად ნებისმიერ პრობლემას სახელმწიფოში, რადგან ამან შეიძლება ვიღაცის მზაკვრული გეგმა ჩაშალოს, რომლის მეშვეობითაც უმწეო ხალხს მოატყუებს, გაქურდავს და ა. შ.

და კიდევ, ვსარგებლობთ განათლების უფლებით? დიახ, რა თქმა უნდა, ვსარგებლობთ, მაგრამ არა მაღალ დონეზე. ჩემი აზრით, განათლების სისტემა საქართველოში ცუდ მდგომარეობაშია. ეს მე, სკოლის მოსწავლემ, კარგად ვიცი, რადგანაც უშუალო შეხება მაქვს სკოლასთან და ზოგადად საგანმანათლებლო დაწესებულებასთან. დავდივართ სკოლაში, გვაქვს წიგნები, მერხები, კლასები, თითქოს ყველაფერი გაგვაჩნია, რაც სწავლაში დაგვეხმარება, მაგრამ მე და ჩემი თანატოლების უმრავლესობა რატომ ვიწუნებთ განათლებას? ბევრი მეტყოდა “თუ სწავლა გინდა, ისწავლი”. დიახაც, ასეა და საკმაოდ ბევრს ვმეცადინეობ კიდეც, მაგრამ საკმარისია თანატოლს, რომლის მშობლები მეტ ფულს გასცემენ, რათა თავიანთმა შვილმა კერძო სკოლაში ისწავლოს, შევედარო, რომ ან გავთანაბრდები ან მასზე დაბლა ვიქნები სწავლის მხრივ. რატომ? ჩემზე ბევრი იშრომა? არა, უბრალოდ მან მხოლოდ არ ისწავლა, დაინახა კიდეც. სამწუხაროდ, საჯარო სკოლებს, სხვა სკოლებისგან განსხვავებით, ელემენტარული ინტერნეტიც არ გააჩნია, ზედმეტია ლაპარაკი ქიმიის ლაბორატორიაზე ან თუნდაც ნორმალურად მოწყობილ კლასზე. იმისათვის რომ მოსწავლემ ისწავლოს, პატარა ინტერესის ნაპერწკალი მაინც არის საჭირო, რომელსაც გაღვივებას თვითონვე შესძლებს. მივდივარ სკოლაში, ვწერ, ვუსმენ და მოვდივარ. ერთი დღე, მეორე დღე, მესამე დღე და მთელი 12 წელი ვაკეთებ ამას. წესით 12 წელიწადში მეტი განვითარების საშუალება უნდა მქონდეს, ვიდრე ფიზიკის ან ქიმიის ფორმულების დაზეპირება ან ბევრი ჩემთვის უინტერესო საკითხის სწავლა, იმის გამო რომ ერთ დღეს მივიდე გამოცდაზე და უბრალოდ გადავლახო ბარიერი. ჩემი აზრით, ეს სრულიად უაზრო დროის კარგვაა, როდესაც გული სამყაროს შეცნობისაკენ მთელი ძალით მიგიწევს.

საკითხავია, იმის გარდა რომ ბავშვები განათლებას ვერ იღებენ, კიდევ რითი ილახება მათი უფლებები? განათლების არქონა ადამიანის უფლებების ღირებულებებზე გაუცნობიერებულობას შეიძლება გავუტოლოთ. სამწუხაროდ, ძველი თაობის ბევრ ადამიანს სკოლის მოსწავლეობიდან არ მოჰყვება ცოდნა იმის შესახებ თუ რამდენად ღირებულია ადამიანის უფლება. მათთვის რთულია იმასთან შეგუება, რომ პატარა ადამიანსაც აქვს უფლება აზრი გამოთქვას, მისთვის მიუღებელი გააპროტესტოს, თუნდაც ჩაიცვას ის, რაც უნდა და ა.შ., რადგან მათი ბავშვობის პერიოდში საქართველოში ყოველივე ეს მიუღებელი იყო და სურთ რომ ასე

გაგრძელდეს. ამას ყველა შემთხვევაში დიდი პრობლემები არ მოჰყვება: მოზარდს მშობლები არ აძლევენ უფლებას გაიკეთოს სვირინგი ან პირსინგი, იმეგობროს იმასთან ვისთანაც უნდა, ასევე, იჩხრიკებიან მოზარდის პირად სივრცეებში: კომპიუტერში, ტელეფონში და ა.შ. ყოველივე ეს, რა თქმა უნდა, ძალიან დამთრგუნველი და არასასიამოვნოა მოზარდისთვის, მაგრამ ,სამწუხაროდ, არსებობს უარესებიც. ყოველი მეხუთე ბავშვი ოჯახში ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია და მას არავინ იცავს. ბევრს ეს ნორმად მიაჩნია და ამის გამო მათ შვილებსაც ასე ჰგონიათ, რადგან ამის საწინააღმდეგო თითქმის არაფერი ესმით, არც სკოლიდან, არც გარშემომყოფებისაგან, შესაბამისად, ძალადობას ვერანაირი ხერხებით ვერ უწევენ წინააღმდეგობას. ბევრი საზარელი ისტორია შემიძლია მოვიყვანო, რაც ფატალური შედეგით დასრულდა: სოფელ მისაქციელში დედამ 5 წლის შვილი ცემით მოკლა, იგივე მოხდა სოფელ აღაიანში, ქობულეთში და ა.შ. ეს ფაქტები ყველა საშინლად დასრულდა, მაგრამ ყოველთვის ამ ყველაფერს სიკვდილი არ მოჰყვება, ბევრჯერ ბავშვი ცოცხლობს, მაგრამ განიცდის დიდ ტკივილსა და შეურაცხყოფას, რაზეც თვალი არასდროს არ უნდა დავხუჭოთ, პირველ რიგში იმიტომ, რომ ზემოთ ხსენებული შედეგები თავიდან ავიცილოთ და მეორე რიგში - ბავშვს მივცეთ საშუალება ნორმალურ და ღირსეულ პიროვნებად აღიზარდოს.

კიდევ რამდენი რამ არსებობს იმის დასამტკიცებლად, რომ ბევრი უფლება უბრალოდ ქაღალდზე წერია და ბოლომდე ჩვენ არ გვეკუთვნის, უბრალოდ ამაზე წერას ვერასდროს დავასრულებ. ერთადერთი იმედი რაც მაქვს, ეს ჩემი თაობაა. ჩემს გარშემო ბევრი ჰუმანურად მოაზროვნე თანატოლი არსებობს და აი ეს მაძლევს იმედს. შეიძლება მე მაქვს უბრალოდ კარგ ადამიანებთან კომუნიკაცია და ამიტომ მეჩვენება ასე. ეს არ ვიცი, მაგრამ ის ზუსტად ვიცი, რომ ჩემი და ჩემ გარშემო მყოფების უფლებებს ყოველთვის მთელი ძალისხმევით დავიცავ.

სოფი ხუციშვილი,

თბილისის №151 საჯარო სკოლის
მე-11 კლასის მოსწავლე